ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულო

ინფრასტრუქტურის საკითხთა

კომისიის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N16

20 ოქტომბერი

2022 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს V მოწვევის

საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრთა

სარეგისტრაციო სია

ქ.სამტრედია 20 ოქტომბერი, 2022 წელი

1. ტარიელ ცომაია - (კომისიის თავმჯდომარე) -
2. დავით ჯანელიძე -
3. ავთანდილ თადუმაძე -
4. გივი ჯულაყიძე -
5. გიორგი გაგუა -
6. ემზარ შუბლაძე -
7. ვალერიანე ფოცხვერია -
8. ვაჟა სტურუა -
9. ზაზა ადეიშვილი -
10. მანანა სირბილაძე -
11. პაატა კოხრეიძე -
12. ქეთევან კუტალაძე -
13. ჯონი ახობაძე -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის

რიგგარეშე სხდომის

ოქმი N16

სამტრედია 20 ოქტომბერი, 2022 წელი.

მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ტარიელ ცომაიას თავმჯდომარეობით ჩატარდა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: ტარიელ ცომაია, მანანა სირბილაძე, ჯონი ახობაძე, პაატა კოხრეიძე, დავით ჯანელიძე, გივი ჯულაყიძე, ვალერიანე ფოცხვერია, ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი, გიორგი გაგუა.

დღის წესრიგი:

1. ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში განსახორციელებელი 12 პროექტის მოწონების შესახებ"

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–ს შორის 2021 წლის 11 ნოემბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით, შეწყვეტისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულება და ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ა–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და ,მასზე არსებული შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–სათვის გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულება.

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია/

3. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიასა და „გაეროს განვითარების პროგრამა გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი საქართველოში (UNDP)" შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებისთვის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)"-დან გრანტის მიღებისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულება.

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია/

4. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (10) ხმით, კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი (10) ხმით იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში განსახორციელებელი 12 პროექტის მოწონების შესახებ".

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში განსახორციელებელი 18 პროექტის შესახებ

	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)		პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა (რეგიონული განვითარების ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
		სულ	მ.შ თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	
	1	2	3	5	6	7
1	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ჯიხაიშში N28 ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა	397006	19850	იანვარი	ოქტომბერი	377156
2	სამტრედიის მუნიციპალიტეტში ხიბლარის N14 ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა	93177	4659	იანვარი	ოქტომბერი	88518
3	სამტრედიის მუნიციპალიტეტში ხიბლარის	51985	2600	იანვარი	ოქტომბერი	49385

	N7 ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა					
4	სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფ. ბაშში შ.პ.ს. ,,აპოჯეო"-ს საწარმომდე მისასვლელ გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა	351190	17560	იანვარი	ოქტომბერი	333630
5	სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფ. ბაშში ე.წ. ჟორჟოლიანების უბნის მიმართულებით ა/ბეტონის საფარის მოწყობა	188692	11335	იანვარი	ოქტომბერი	177357
6	სამტრედიის მუნიციპალიტეტში ნაბაკევის ადმ. ერთეულის სოფ. ჩხენიშის N2 და N5 ქუჩების დამაკავშირებელ გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა	165777	8289	ნოემბერი	ოქტომბერი	157488
7	სამტრედიის მუნიციპალიტეტში ნაბაკევის ადმ. ერთეულის სოფ. ჩხენიშის N3 ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა	183287	9165	ნოემბერი	ოქტომბერი	174122
8	სამტრედიის მუნიციპალიტეტში ნაბაკევის ადმ. ერთეულის სოფ. ჩხენიშის N4 ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა	216861	10844	ნოემბერი	ოქტომბერი	206017
9	სამტრედიის მუნიციპალიტეტში ნაბაკევის ადმ. ერთეულის სოფ. ჩხენიშის N7 ქუჩის გაგრძელებაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა	55337	2767	ნოემბერი	ოქტომბერი	52570
10	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. საკავახოში ე.წ. ,,საკირეს უბნის" I ჩიხში ა/ბეტონის საფარის მოწყობა	42493	2125	იანვარი	ოქტომბერი	40368
11	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ხუნჯულაურში N8 ჩიხში ა/ბეტონის საფარის მოწყობა	46057	2303	იანვარი	ოქტომბერი	43754
12	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.	63888	3195	იანვარი	ოქტომბერი	60693

	საჯავახოში ე.წ. „რეჭეს უბანში" ა/ბეტონის საფარის მოწყობა					

მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში განსახორციელებელი 12 პროექტი (დანართი №1 ოქმს თან ერთვის).

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრთა (10) ხმით, მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

<u>**დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით**</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ,კომისიის წევრებს გააცნო, „სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–ს შორის 2021 წლის 11 ნოემბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით, შეწყვეტისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულება.

ტარიელ ცომაია - კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ მხარეთა შეთანხმებით, შეწყვიტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–ს შორის 2021 წლის 11 ნოემბერს დადებული უძრავი ქონების (ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ᲐᲐ–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენეობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) თხოვების ხელშეკრულება.

და აქვე მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედიას" (საიდენტიფიკაციო კოდი–238775704) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

ა) ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე 34693 მ2 არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა–ნაგებობები (№1, განაშენიანების ფართი 1172 მ2; №2, განაშენიანების ფართი 95 მ2; №3, განაშენიანების ფართი 99 მ2; №4, განაშენიანების ფართი 13 მ2; №5, განაშენიანების ფართი 16 მ2.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033.

ბ) ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ᲐᲐ–ში მდებარე 5930 მ2 არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა–ნაგებობა (№1, განაშენიანების ფართი 1068 მ2.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034.

2. პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონება გამოყენებულ უნდა იქნას (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი-საფეხბურთო კლუბი სამტრედიას") მიერ, მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის.

3. პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების სარგებლობის ვადად განისაზღვროს 02 (ორი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრთა (10) ხმით, მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ,კომისიის წევრებს გააცნო. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიასა და „გაეროს განვითარების პროგრამა გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი საქართველოში (UNDP)" შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებისთვის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)"-დან გრანტის მიღებისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულება.

ტარიელ ცომაია - მოგახსენებთ, რომ ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში „მუნიციპალიტეტის ურბანული გარდაქმნის" პროექტის შექმნის მიზნით კონკურსის საფუძველზე შერჩეულ იქნა სამტრედიის მუნიციპალიტეტი. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული პროექტის მიზანია ქალაქ სამტრედიაში, სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობებით დაინტერესებული ადამიანებისთვის სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე დახურული საცურაო აუზის რეაბილიტაცია. აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის, „გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)"-დან გრანტის სახით, სამტრედიის მუნიციპალიტეტი 2022-2023 წლებში მიიღებს დაახლოებით 60 000 ევროს (ექვივალენტს ლარში) დაფინანსებას. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიასა და „გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)" შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება საჭიროა შემჭიდროვებულ ვადებში, რადგან საგრანტო კონკურსის პირობების თანახმად, 2022 წლის ბოლომდე უნდა დაიწყოს სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე დახურული საცურაო აუზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიასა და „გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)" შორის საგრანტო

ხელშეკრულების გაფორმებისთვის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)"-დან გრანტის მიღებისთვის.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრთა (10) ხმით, მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

ინფრასტრუქტურის საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე: /ტარიელ ცომაია/

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის
საკრებულოს
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის
სხდომის

ოქმი N 16

(8 ფურცლად)

სხდომის თავმჯდომარე: /ტ.ცომაია/

2022 წელი